

შპს „ხედი“
ს/კ 406228149

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სექტემბერი 2024
თბილისი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	10
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	19
4. წინა წლის შეცდომების გასწორება	19
5. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
6. ძირითადი საშუალებები	20
7. გრძელვადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ	21
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
9. ამონაგები	21
10. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	22
11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ხელის დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „ხელის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართული ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 64,177 ლარის ოდენობით, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 20,992 ლარის ოდენობითა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 10 ლარის ოდენობით. ჩვენ დავესწარიტ სალაროში ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას 2024 წლის მაისში. გარდა იმისა, რომ იგი ჩატარდა პროცესუალური დარღვევებით, ამასთან 6 სალაროდან 3 სალაროში გამოვლინდა სხვაობები როგორც დანაკლისი, ასევე ზედმეტობა. ასევე შედეგების უკუდათვლისას 2023 წლის 31 დეკემბრის ნაშთზე დაყვანის დროს 3 სალაროში გამოვლინდა სხვაობა.

აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ დავრწმუნდით სალაროს ნაშთების სისრულესა და სისწორეში. ინვენტარიზაციის პროცესში გამოვლინდა, რომ სალაროში იმაზე მეტი თანხა ფიქსირდებოდა, ვიდრე ამას პროგრამა აჩვენებდა. მიზეზად დასახელდა ის გარემოება, რომ მომხმარებელმა კომპანიისგან მიიღო მომსახურება და გადაიხადა შესაბამისი მომსახურების თანხა, თუმცა მენეჯერს პროგრამულად არ ჰქონდა დახურული თვეების უკან გახსნილი მაგიდა. რამდენადაც კომპანიისთვის მაგიდის დახურვა გულისხმობს მის მიერ შესასრულებელი ვალდებულების შესრულებას, მომხმარებლისთვის მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, ჩვენ ვერ დავრწმუნდით კომპანიის შემოსავლების სისრულეში. შესაბამისად, ჩვენ ვერ ვადასტურებთ სარესტორნე მომსახურებიდან მიღებულ ამონაგებს ნაღდი ფულით გადახდისას 2023 წელს 901,460 ლარისა და 2022 წელს 131,461 ლარის ოდენობით.

ჩვენ არ დავსწრებივართ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას, შესაბამისად ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება ძირითადი საშუალებების ნაშთების რეალობასთან დაკავშირებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების ჯგუფი „შენობები“, რომლის საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 47,812,946 ლარს, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 49,387,569 ლარს და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 50,962,711 ლარს. კომპანიას „შენობების“ ჯგუფში გაერთიანებული აქვს, როგორც მიწის, ასევე შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება და არ ახდენს მათ

გამიჯვნას, მიუხედავად იმისა, რომ ბასს 16 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, ვალდებულია მიწა და შენობები განიხილოს დამოუკიდებელ აქტივებად და აღრიცხოს ცალ-ცალკე, მათი ერთად შეძენის შემთხვევაშიც კი. იქიდან გამომდინარე, რომ მიწისა და შენობის ღირებულება ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის, მიწას, რომელსაც გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა, ერიცხება ცვეთა, რომელიც ზრდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასაღიარებელი ხარჯის სიდიდეს. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აღნიშნული გარემოების ეფექტი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მუხლი „გრძელვადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ“ 2023 წლის 31 დეკემბერს 29,515,010 ლარის ოდენობით, 2022 წლის 31 დეკემბერს 29,388,745 ლარის ოდენობით და 2022 წლის 1 იანვარს 33,166,307 ლარის ოდენობით. როგორც მე-7 განმარტებით შენიშვნაშია აღნიშნული, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ ყოფილა გაუფასურების ინდიკატორები, რომელიც მიანიშნებდა ფინანსურ ანგარიშგებაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებით ზარალის რეზერვის აღიარებაზე. ჩვენი მოსაზრებით, კრების ოქმებში კაპიტალის შევსებასთან დაკავშირებით მოცემული თარიღები და პარტნიორების მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ობიექტური მტკიცებულება, რომ საწარმომ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში, მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აღნიშნული გარემოების ეფექტი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მუხლი „თვითღრებულება“ 2023 წელს 1,376,555 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სათანადოდ გაფორმებული პირველადი დოკუმენტაცია, რომელიც მთლიანობაში გაყიდული მარაგების ღირებულებას დაადასტურებდა. სარესტორნე მომსახურების გაწევისას, პროგრამაში ასახული ინფორმაციის საფუძველზე იქმნება ჩამოწერის აქტი და ელექტრონულად იგზავნება ქვეყნის გარეთ, შპს „ხელთან“ იურიდიული კავშირის არ მქონე კომპანიაში, რომლის მიერაც ხდება მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება და მათ მიერ მომზადებული ჩამოწერის აქტების საფუძველზე ჩამოიწერება კომპანიაში მარაგები. ჩვენ ვერ დავრწმუნდით იმაში, რომ საბუთი რომლის მიხედვითაც ჩამოიწერება მარაგები, იქნება სწორი ან/და არ იქნება შეტანილი თვითნებურად და არაკორექტულად გარკვეული ცვლილებები. ჩვენ ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, შესაბამისად ვერ შევძელით დაგვედასტურებინა რეალიზებული პროდუქციის თვითღრებულების სისრულე და სისწორე.

ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები შრომის ანაზღაურების ხარჯზე 2023 წელს 1,376,587 ლარისა და 2022 წელს 988,093 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შესაბამის თანხასთან მიმართებით.

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მუხლი „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“ 2023 წელს 8,968,954 ლარისა და 2022 წელს 5,356,156 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რამდენად სწორადაა კლასიფიცირებული და წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული მუხლი. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხასთან მიმართებით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსურ ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე მის ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩავატაროთ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გამოვუშვათ აუდიტორის დასკვნა. თუმცა ჩვენი ანგარიშის ნაწილში, სახელწოდებით „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“, განხილული საკითხის გამო ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რის საფუძველზეც გამოვთქვამდით აუდიტორულ მოსაზრებას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ანგარიში სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვაზე).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონის“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწარმოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც, აუცილებელია თაღლითობისა თუ არსებითი უზუსტობით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე
(საქმიანობის მიმოხილვაზე).

“ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვვალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება.

ჩვენს მიერ აუდიტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოებზე დაყრდნობით:

- „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველში“ აღწერილი საკითხ(ებ)ის გავლენის გამო, ჩვენ ვერ შევძელით დასკვნა გამოგვეტანა იმის თაობაზე, შეიცავდა თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია ამ აუდიტის დასკვნაზე არის
ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი (SARAS-A-285542)
შპს ბიზნეს ინსაით გრუპ (400308305)
თბილისი, საქართველო
2024 წლის 25 სექტემბერი

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე
(საქმიანობის მიმოხილვაზე).

“ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები უყრდნობა პროფესიულ მსჯელობას რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვალასა და შეჯამებას. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვვალდება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება.

ჩვენს მიერ აუდიტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოებზე დაყრდნობით:

- „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველში“ აღწერილი საკითხ(ებ)ის გავლენის გამო, ჩვენ ვერ შევძელით დასკვნა გამოგვეტანა იმის თაობაზე, შეიცავდა თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია ამ აუდიტის დასკვნაზე არის
ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი (SARAS-A-285542)
შპს ბიზნეს ინსაით გრუპ (400308305)
თბილისი, საქართველო
2024 წლის 25 სექტემბერი

A blue ink signature is written over a circular blue stamp. The stamp contains the text 'შპს ბიზნეს ინსაით გრუპ' (JSC Business Insight Group) at the top, 'BIG' in the center, and '400308305' and 'BUSINESS INSIGHT GROUP LTD' at the bottom.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ხელის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შესაბამეა მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ხელის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შესაბამეა მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	შენ.	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მიმდინარე აქტივები				
მარაგი		654,940	626,504	511,608
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	5	224,824	499,066	492,530
საგადასახადო აქტივი		-	581,260	1,224,391
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		53,881	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		933,645	1,706,829	2,228,530
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	53,701,762	56,668,432	59,746,185
არამატერიალური აქტივები		74,255	72,099	60,949
გრძელვადიანი მოთხოვნები				
პარტნიორების მიმართ	7	29,515,010	29,388,745	33,166,307
სულ გრძელვადიანი აქტივები		83,291,026	86,129,277	92,973,441
სულ აქტივები		84,224,672	87,836,106	95,201,971
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(9,086,455)	114,944	115,347
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(4,648,954)	(9,201,399)	-
საწესდებო კაპიტალი		97,402,877	96,511,611	95,080,399
სულ კაპიტალი		83,667,468	87,425,155	95,195,746
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	456,347	410,951	6,225
მოკლევადიანი სესხები		27,894	-	-
საგადასახადო ვალდებულება		72,964	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		557,204	410,951	6,225
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		84,224,672	87,836,107	95,201,971

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2024 წლის 25 სექტემბერს

შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

შპს „ხელი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	შენ.	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მიმდინარე აქტივები				
მარაგი		654,940	626,504	511,608
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	5	224,824	499,066	492,530
საგადასახადო აქტივი		-	581,260	1,224,391
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		53,881	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		933,645	1,706,829	2,228,530
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	53,701,762	56,668,432	59,746,185
არამატერიალური აქტივები		74,255	72,099	60,949
გრძელვადიანი მოთხოვნები				
პარტნიორობის მიმართ	7	29,515,010	29,388,745	33,166,307
სულ გრძელვადიანი აქტივები		83,291,026	86,129,277	92,973,441
სულ აქტივები		84,224,672	87,836,106	95,201,971
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(9,086,455)	114,944	115,347
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(4,648,954)	(9,201,399)	-
საწესდებო კაპიტალი		97,402,877	96,511,611	95,080,399
სულ კაპიტალი		83,667,468	87,425,155	95,195,746
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	456,347	410,951	6,225
მოკლევადიანი სესხები		27,894	-	-
საგადასახადო ვალდებულება		72,964	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		557,204	410,951	6,225
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		84,224,672	87,836,107	95,201,971

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2024 წლის 25 სექტემბერს

შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



შენიშვნები გვერდებზე 10-22 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენ.	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	9	6,457,425	861,690
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(1,376,555)	(195,496)
საერთო მოგება		5,080,869	666,195
საოპერაციო ხარჯები			
მიწოდების ხარჯები		(120,258)	(32,941)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(8,968,954)	(5,356,156)
საოპერაციო მოგება		(4,008,343)	(4,722,902)
სხვა შემოსავალი		8,740	83,626
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(174,633)	(4,439,461)
სხვა ხარჯები		(474,718)	(122,662)
მოგება ზარალი დაბეგვრამდე		(4,648,954)	(9,201,399)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(4,648,954)	(9,201,399)
სხვა სრული შემოსავალი ზარალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		(4,648,954)	(9,201,399)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

შპს „ხელი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენ.	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	9	6,457,425	861,690
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(1,376,555)	(195,496)
საერთო მოგება		5,080,869	666,195
საოპერაციო ხარჯები			
მიწოდების ხარჯები		(120,258)	(32,941)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(8,968,954)	(5,356,156)
საოპერაციო მოგება		(4,008,343)	(4,722,902)
სხვა შემოსავალი		8,740	83,626
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(174,633)	(4,439,461)
სხვა ხარჯები		(474,718)	(122,662)
მოგება ზარალი დაბეგვრამდე		(4,648,954)	(9,201,399)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(4,648,954)	(9,201,399)
სხვა სრული შემოსავალი ზარალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		(4,648,954)	(9,201,399)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2024 წლის 25 სექტემბერს
შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



შპს „ხედი“**ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის****კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება****2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) / მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვარის მდგომარეობით	95,080,399	115,347	95,195,746
კაპიტალის ზრდა	1,431,211	-	1,431,211
პერიოდის შედეგი	-	(9,201,399)	(9,201,399)
სხვა ცვლილება		(403)	(403)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	96,511,611	(9,086,455)	87,425,155
კაპიტალის ზრდა	891,267	-	891,267
პერიოდის შედეგი	-	(4,648,954)	(4,648,954)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	97,402,877	(13,735,409)	83,667,468

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2024 წლის 25 სექტემბერს
შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

შენიშვნები გვერდებზე 10-22 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია
გვერდებზე 1-4.

შპს „ხელი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) /მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვარის მდგომარეობით	95,080,399	115,347	95,195,746
კაპიტალის ზრდა	1,431,211	-	1,431,211
პერიოდის შედეგი	-	(9,201,399)	(9,201,399)
სხვა ცვლილება		(403)	(403)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	96,511,611	(9,086,455)	87,425,155
კაპიტალის ზრდა	891,267	-	891,267
პერიოდის შედეგი	-	(4,648,954)	(4,648,954)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	97,402,877	(13,735,409)	83,667,468

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



შენიშვნები გვერდებზე 10-22 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სასტუმროს მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები	2,772,486	379,877
სარესტორნო მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,650,038	613,060
შრომის ანაზღაურებაზე გადახდილი თანხები	(2,562,652)	(619,046)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დასაფარად გადახდილი თანხები	(4,134,287)	(1,020,489)
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	(1,445,117)	(164,145)
საპენსიო ფონდში გადახდილი თანხები	(112,912)	(20,239)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად გადახდილი თანხები	(26,667)	(1,752)
სხვა მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	6,774	433
სხვა საოპერაციო ხარჯების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები	(3,131)	(1,007)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(855,467)	(833,310)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(37,160)	(2,330)
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი თანხები	(2,543)	(11,150)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(39,703)	(13,480)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულებების დასაფარად გადახდილი თანხები	(15,000)	-
მიღებული სესხები	41,210	-
კაპიტალის შესავსლებად მიღებული თანხები	626,971	952,553
კაპიტალის შემცირება	-	(43,155)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	653,181	909,398
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა	(241,990)	62,608
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(32,252)	(56,072)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	499,066	492,530
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	224,824	499,066

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

მპს „ხელი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სასტუმროს მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები	2,772,486	379,877
სარესტორნე მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,650,038	613,060
შრომის ანაზღაურებაზე გადახდილი თანხები	(2,562,652)	(619,046)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დასაფარად გადახდილი თანხები	(4,134,287)	(1,020,489)
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	(1,445,117)	(164,145)
საპენსიო ფონდში გადახდილი თანხები	(112,912)	(20,239)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად გადახდილი თანხები	(26,667)	(1,752)
სხვა მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	6,774	433
სხვა საოპერაციო ხარჯების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები	(3,131)	(1,007)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(855,467)	(833,310)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(37,160)	(2,330)
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი თანხები	(2,543)	(11,150)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(39,703)	(13,480)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულებების დასაფარად გადახდილი თანხები	(15,000)	-
მიღებული სესხები	41,210	-
კაპიტალის შესავსლებად მიღებული თანხები	626,971	952,553
კაპიტალის შემცირება	-	(43,155)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	653,181	909,398
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა	(241,990)	62,608
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(32,252)	(56,072)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	499,066	492,530
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	224,824	499,066

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2024 წლის 25 სექტემბერს

შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



შენიშვნები გვერდებზე 10-22 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

- 1.1. შპს ხელი, საიდენტიფიკაციო ნომრით: 406228149, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში და საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: ქ.თბილისში, ისნის რაიონში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, №24-ში (ფაქტიური და იურიდიული). კომპანიის წილის 70%-ის მფლობელი არის რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული კომპანია სს „სვეტილიცა“ (1223300006280, 3340000726), ხოლო 30%-ის მფლობელი საქართველოს მოქალაქე ელენე ნიჟარაძე (ს/ნ:01008007304).
- 1.2. საწარმო დარეგისტრირდა 2017 წლის 26 ოქტომბერს.
- 1.3. საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და საადრიცხვო პოლიტიკა

2.1. მომზადების საფუძვლები

2.1.1. შესაბამისობის პრინციპი

- 2.1.1.1. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.
- 2.1.1.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად, რომ მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.
- 2.1.1.3. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.
- 2.1.1.4. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.
- 2.1.1.5. რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.
- 2.1.1.6. გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 2.1.1.6.1. 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- 2.1.1.6.2. მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- 2.1.1.6.3. მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

2.1.1.7. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

2.1.2. შეფასების საფუძველი

2.1.2.1. შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

2.1.3. ფუნქციონალური ვალუტა

2.1.3.1. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

2.1.4. ურთიერთჩათვლა

2.1.4.1. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

2.1.5. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

2.1.5.1. მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

2.2. ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

2.2.1. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.

2.2.1.1. საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია მცირა და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განყოფილების (ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოთხოვნათა შესაბამისად). ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის

ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;

2.2.2. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.

2.2.2.1. ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება (მსს ფასს-ის) მე-17 განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:

2.2.2.1.1. მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

2.2.2.1.2. საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

2.2.2.2. ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით.

2.2.2.3. თვითღირებულების კომპონენტებისადმი სტანდარტის მოთხოვნა საწარმოს დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ:

2.2.2.4. ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

2.2.2.4.1. მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გათვალისწინებით;

2.2.2.4.2. ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

2.2.2.4.3. აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდგომი, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი.

2.2.2.5. ცვეთა

2.2.2.5.1. ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი - თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ხშირ შემთხვევებში ნარჩენი ღირებულებები არაარსებითია და ამდენად ნულს არის გატოლებული, ცვეთადი ღირებულება თვითღირებულების ტოლია. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი.

2.2.2.5.2. ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

2.2.2.5.3. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

2.2.2.5.4. აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

2.2.2.5.5. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები

2.2.2.5.6. წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

2.2.2.5.6.1. შენობა-ნაგებობები - 30 წელი

2.2.2.5.6.2. ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 - 7 წელი

2.2.2.5.6.3. მანქანა-დანადგარები - 5 - 7 წელი

2.2.2.5.6.4. სხვა ძირითადი საშუალებები - 1 - 7 წელი

2.2.3. მარაგები

2.2.3.1. მარაგების აღრიცხვა ხდება (მსს ფასს-ის) მე-13 განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად.

2.2.3.2. მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

2.2.3.3. მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

2.2.3.4. მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

2.2.3.5. მარაგების გაუფასურებას აღრიცხვა ხდება (მსს ფასს-ის) 27-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად.

2.2.4. საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

2.2.4.1. საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა აღირიცხება მსს ფასს-ის 23 განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

2.2.4.1.1. საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

2.2.4.1.2. საწარმო არ იწარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

2.2.4.1.3. შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

2.2.4.1.4. მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

2.2.4.1.5. შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება. თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

2.2.4.2. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

2.2.4.2.1. ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

2.2.4.2.2. მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

2.2.4.2.3. შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

2.2.4.2.4. შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მოთხოვნად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

2.2.4.3. საკურსო სხვაობების აღიარება.

2.2.4.3.1. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, მსს ფასს-ის 23-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად.

2.2.4.4. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

2.2.4.4.1. მომსახურების გარკვეული ნაწილის მიწოდება განთავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით საგადასახადო კოდექსის 172 მუხლის მეოთხე ნაწილის პ) პუნქტის საფუძველზე.

2.2.4.4.2. მომხმარებლებთან ანგარიშსწორება ნაწილობრივ ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით და მომხმარებლების მიერ გადახდილი ნაღდი თანხები საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის შესაბამისად აღირიცხება საკონტროლო საკასო აპარატებით.

2.2.5. სალარო მეურნეობის აღრიცხვა

2.2.5.1. სალაროს მეურნეობის ორგანიზება საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი განაწესით ხდება, სალაროს ოპერაციებს მოლარე ოპერატორები და მთავარი მოლარე ახორციელებენ. ისინი მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ. სალაროს ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და მათი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში ასახვა დადგენილი წესით ხორციელდება შემოსავლისა და გასავლის ორდერების სათანადო გაფორმებით.

2.2.6. ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციების აღრიცხვა.

2.2.6.1. უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციის შინაარსის მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

2.2.7. სავალუტო ანგარიშებით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა.

2.2.7.1. ბუღალტრული აღრიცხვა უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს შესაბამის ვალუტებში. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადადის მსს ფასს-ის 30-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციების შინაარსების მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

2.2.8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ვალდებულებები

2.2.8.1. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ვალდებულებებს კომპანია აღრიცხავს შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად: მსს ფასს მე-11 განყოფილება «ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები», მსს ფასს მე-12 განყოფილების «სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები»

2.2.8.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები – მოიცავს მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს, ამ მოთხოვნებთან დაკავშირებულ საეჭვო ვალების რეზერვს, თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ გაცემულ თანხებს, გადახდილ ავანსებს და სხვა

დებიტორულ დავალიანებებს. დებიტორული დავალიანება მოიცავს კომპანიის წინაშე წარმოქმნილ კონტრაგენტების დავალიანებას, რომელიც წარმოქმნილია მიმდინარე და კაპიტალური ხასიათის ოპერაციების შედეგად (გადასახადებისა და მოსაკრებლების გაანგარიშების გარდა).

2.2.8.3. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები – მოიცავს მომსახურების გაწევის დროს წარმოქმნილ ვალდებულებებს კონტრაგენტების წინაშე, სახელფასო ვალდებულებებს, მიღებულ ავანსებსა და სხვა არასავაჭრო ვალდებულებებს, რომელიც წარმოქმნილია მიმდინარე და კაპიტალური ხასიათის ოპერაციების შედეგად (გადასახადებისა და მოსაკრებლების გაანგარიშების გარდა).

2.2.8.4. კონტრაგენტი – არის ჩვეულებრივი სავაჭრო ან სხვა კაპიტალური ოპერაციების დროს გარიგებაში მონაწილე მხარე.

2.2.8.5. დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ამორტიზებადი ღირებულება – არის ღირებულება, რომლითაც შეფასებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება საწყისი აღიარების დროს, შემცირებული ძირითადი გადასახდელი თანხებით, დამატებული ან გამოკლებული თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით აკუმულირებული ამორტიზაციით და გამოკლებული (უშუალოდ ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი ან ამოუღებლობის ნებისმიერი დანაკარგები.

2.2.8.6. ეფექტური საპროცენტო მეთოდი – განსაზღვრავს ისეთ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილებას უზრუნველყოფს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს.

2.2.8.7. კლასიფიკაცია და დაჯგუფება

2.2.8.7.1. აღრიცხვის მიზნებისთვის კომპანია აღიარებს დებიტორული და კრედიტორული ანგარიშების შემდეგ კლასიფიკაციას:

2.2.8.7.2. მოკლევადიანი – არის ანგარიშები, რომელთა შესაძლო დაფარვის ვადა განისაზღვრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ 12 თვით.

2.2.8.7.3. გრძელვადიანი – სხვა ყველა დანარჩენი

2.2.9. აღიარების კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები

2.2.9.1. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების საწყისი აღიარება და შეფასების კრიტერიუმები

2.2.9.1.1. საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების (შეთანხმების) მონაწილე და სრულდება შემდეგი პირობები:

2.2.9.1.1.1. არსებობს აღნიშნული აქტივიდან (ვალდებულებიდან) ეკონომიკური სარგებელის მიღების (გასვლის) მაღალი ალბათობა;

2.2.9.1.1.2. აქტივის ან ვალდებულების ღირებულების შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

2.2.9.1.2. თავდაპირველი აღიარებისას დებიტორული და კრედიტორული დავალიანება და სესხები ფასდება რეალური ღირებულებით (გარიგების ღირებულებით), გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

2.2.9.1.3. დებიტორული და კრედიტორული დავალიანება და სესხები შემდგომ ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.2.9.1.4. გრძელვადიანი დებიტორული და კრედიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.2.10. ადიარების შეწყვეტა

2.2.10.1.1. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის ადიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

2.2.10.1.1.1. ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან

2.2.10.1.1.2. იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

2.2.10.1.2. კომპანია ფინანსური ვალდებულებების ადიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების ადიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების ადიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

2.2.10.2. ფინანსური აქტივების გაუფასურება

2.2.10.2.1. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მსს ფასს-ის 21-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად, კონტრაგენტებთან დადებული გარიგებების საფუძველზე, იდენტიფიცირება ხდება ვადაგადაცილებული დებიტორების, რომლებზეც ინდივიდუალურ საფუძველზე ხდება შესაძლო გაუფასურების ანალიზი.

2.2.10.2.2. ანალიზის დროს ფასდება მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მოცულობა და ხდება საბალანსო და მომავალში მისაღებული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარება, სხვაობის არსებობის შემთხვევაში დებიტორს ერიცხება გაუფასურების რეზერვი.

2.2.10.3. ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ურთიერთგადაფარვა (ჩათვლა)

2.2.10.3.1. ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ურთიერთგადაფარვა უნდა მოხდეს და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახოს ნეტო თანხით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

2.2.10.3.1.1. საწარმოს აქვს ადიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება; და

2.2.10.3.1.2. საწარმო ვარაუდობს, რომ დაფარვა განახორციელოს ნეტო საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად განახორციელოს.

2.2.10.3.2. ისეთი ფინანსური აქტივის გადაცემის აღრიცხვის დროს, რომელიც არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, საწარმოს არა აქვს გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის უფლება.

2.2.10.3.3. წინამდებარე სტანდარტით მოითხოვება, რომ ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარდგენილ იქნეს ნეტო საფუძველზე, როდესაც ასეთი წარდგენა ასახავს საწარმოში მოსალოდნელ ფულადი სახსრების ნაკადს, ორი ან ორზე მეტი ცალკე აღებული ფინანსური ინსტრუმენტით ანგარიშსწორებიდან. როდესაც საწარმოს მხოლოდ ერთი ნეტო თანხის მიღების ან გადახდის უფლება აქვს და ამის გაკეთებას აპირებს, ეს ნიშნავს, რომ მას, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება აქვს. სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარედგინება ცალ-ცალკე, მათი მახასიათებლების მიხედვით, საწარმოს რესურსების ან ვალდებულებების სახით.

2.2.11. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა.

2.2.11.1. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს მსს ფასს-ის 30-ე განყოფილების მოთხოვნათა დაცვით. ანგარიშგების წარმოდგენისას მომწოდებლის მიმართ უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულების ფინანსური (მონეტარული) ანგარიშ(ებ)ი გადაიყვანება წარსადგენ ვალუტაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით; გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

2.2.12. შრომის ანაზღაურების აღრიცხვა.

2.2.12.1. აღირიცხება მსს ფასს-ის 28-ე განყოფილების მოთხოვნათა მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასება სტანდარტის მიხედვით.

2.2.13. იჯარის აღრიცხვა

2.2.13.1. იჯარა აღირიცხება მსს ფასს-ის მე-20 განყოფილების მოთხოვნათა მიხედვით. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

2.2.13.2. კომპანია, როგორც მეიჯარე

2.2.13.2.1. მეიჯარემ ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით მის განკარგულებაში არსებული აქტივები უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და წარადგინოს, როგორც მოთხოვნა, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. წმინდა საიჯარო ინვესტიცია არის მეიჯარის მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია, რომელიც დისკონტირებულია საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით.

2.2.13.2.1.1. ფინანსური იჯარისათვის მეიჯარის მიერ მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელები; და

2.2.13.2.1.2. მეიჯარის სასარგებლოდ დარიცხული მთელი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება.

2.2.13.3. კომპანია, როგორც მოიჯარე

2.2.13.3.1. იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ მისი უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

2.2.14. სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

2.2.14.1. დამატებითი ღირებულებების გადასახადი

2.2.14.1.1. დამატებული ღირებულების გადასახადი. საქონლის მიწოდების, ასევე მომსახურების ყველა ოპერაცია იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით, რაც განთავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით.

2.2.14.1.2. კომპანიას უსასყიდლოდ მიწოდებული საქონელი, დანაკლისები დაბეგრული აქვს დამატებული ღირებულების გადასახადით.

2.2.14.1.3. დღგ-ს უკუდაბეგვრა არარეზიდენტების მიერ კომპანიისათვის საქართველოში გაწეულ მომსახურებაზე ხორციელდება საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

2.2.14.2. საშემოსავლო გადასახადი.

2.2.14.2.1. საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

2.2.14.2.2. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო აგენტი ვალდებულია ამ კოდექსის 153 -ე მუხლის მე 5 ნაწილით დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით.

2.2.14.2.3. ხელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

2.2.14.2.4. დივიდენდები იბეგრება 130 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

2.2.14.2.5. ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 19-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

2.2.15. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა.

2.2.15.1. ბიზნეს-საქმიანობის პროცესში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს-ის 11-12-ე განყოფილებების მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე.

2.2.15.2. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

3.1. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

3.2. არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

3.2.1. კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

3.3. ფინანსური აქტივების გაუფასურება

3.3.1. ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული კომპანიას ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუქვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

3.4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SMEs - მსს ფასს) მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. წინა წლის შეცდომების გასწორება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კაპიტალის შევსების ოპერაციებთან მიმართებით კომპანიამ აღმოაჩინა შეცდომები, რომლებიც რეტროსპექტულად გადაანგარიშდა და ის მუხლები, რომლებსაც შეეხო ცვლილებები მოცემულია ქვემოთ შესაბამისი კორექტირებებით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	ნაშთი შეცდომის გასწორებამდე	კორექტირების ეფექტი	გასწორებული ნაშთი
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	27,104,789	2,283,956	29,388,745
საწესდებო კაპიტალი	95,990,326	521,285	96,511,611
გაუნაწილებელი მოგება	5,306,291	(5,191,347)	114,944

2022 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	ნაშთი შეცდომის გასწორებამდე	კორექტირების ეფექტი	გასწორებული ნაშთი
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	-	83,626	83,626
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	-	4,439,167	4,439,167

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	ნაშთი შეცდომის გასწორებამდე	კორექტირების ეფექტი	გასწორებული ნაშთი
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	26,934,853	6,231,454	33,166,307
საწესდებო კაპიტალი	94,988,478	91,921	95,080,399
გაუნაწილებელი მოგება	5,306,291	(5,190,944)	115,347

2021 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	ნაშთი შეცდომის გასწორებამდე	კორექტირების ეფექტი	გასწორებული ნაშთი
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	-	1,994,018	1,994,018

5. ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	123,930	31,885	459,102
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	64,177	20,992	10
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	36,717	446,190	33,418
ჯამი	224,824	499,066	492,530

6. ძირითადი საშუალებები

	მცირეფასაინი ინვენტარი	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
თვითღირებულება 01-იან-2022	-	53,585,177	1,836,948	7,544,751	1,039,037	64,005,912
ზრდა	2,330	-	-	1,992	-	4,322
შემცირება	-	-	-	-	(314)	(314)
თვითღირებულება 31-დეკ-2022	2,330	53,585,177	1,836,948	7,546,742	1,038,723	64,009,920
ზრდა	19,794	-	6,082	914	10,370	37,160
შემცირება	-	-	-	(165,973)	-	(165,973)

თვითღირებულება 31-დეკ-2023	22,124	53,585,177	1,843,031	7,381,683	1,049,092	63,881,107
აკუმულირებული ცვტა 01-იან-2022	-	(2,622,466)	(239,213)	(1,098,650)	(299,399)	(4,259,727)
ცვტის ხარჯი	-	(1,575,142)	(287,503)	(937,591)	(281,524)	(3,081,761)
ცვტა გასულ აქტივებზე	-	-	-	-	-	-
აკუმულირებული ცვტა 31-დეკ-2022	-	(4,197,608)	(526,716)	(2,036,241)	(580,923)	(7,341,488)
ცვტის ხარჯი	-	(1,574,623)	(288,266)	(1,007,019)	(120,209)	(2,990,118)
ცვტა გასულ აქტივებზე	-	-	-	152,261	-	152,261
აკუმულირებული ცვტა 31-დეკ-2023	-	(5,772,231)	(814,982)	(2,890,999)	(701,132)	(10,179,345)
საბალანსო ღირებულება 01-იან-2022	-	50,962,711	1,597,736	6,446,101	739,637	59,746,185
საბალანსო ღირებულება 31-დეკ-2022	2,330	49,387,569	1,310,232	5,510,501	457,799	56,668,432
საბალანსო ღირებულება 31-დეკ-2023	22,124	47,812,946	1,028,048	4,490,684	347,960	53,701,762

7. გრძელვადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ

ეს მუხლი მოიცავს მოთხოვნებს პარტნიორების მიმართ კაპიტალის შევსებაზე. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემული ანგარიშის ნაშთი იყო დოლარში, 33,166,307 ლარის ეკვივალენტი, რომელიც წარმოადგენს როგორც სს სვეტლიცა-ს, ასევე ელენე ნიჟარაძის მიმართ მოთხოვნას კაპიტალის შევსებაზე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნამ შეადგინა 29,388,745 ლარის ეკვივალენტი, რომელიც ასევე მოიცავდა ორივე პარტნიორის წილ თანხებს. 2023 წლის განმავლობაში მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე გაიზარდა 126,264 ლარით და მოთხოვნების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 29,515,010 ლარს. მოთხოვნების შემოწმება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად და ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული არცერთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ ყოფილა გაუფასურების ინდიკატორები, რომელიც კომპანიას მიანიშნებდა იმაზე რომ პარტნიორების მიმართ არსებულ მოთხოვნებზე ასალიარებელი ყოფილიყო ზარალის რეზერვი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებით.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	227,511	197,349	1,971
გადასახდელი ხელფასები	184,657	159,298	-
გადასახდელი საპენსიო ვალდებულებები	24,433	12,148	177
ფიზიკური პირები	10,905	18,215	-
არარეზიდენტი პირები	8,841	22,634	-
მიღებული ავანსები	-	1,309	4,077
ჯამი	456,347	410,951	6,225

9. ამონაგები

სარესტორნე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი (ბარათით გადახდისას)	2,807,864	338,220
სასტუმროდან მიღებული შემოსავალი	2,259,204	311,629
სარესტორნე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი (ნაღდით გადახდისას)	901,460	131,461
სხვა იურიდიულ პირებზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	317,265	36,121
მიმწოდებელი შუამავი კომპანიებიდან მიღებული შემოსავალი	171,633	44,259
ჯამი	6,457,425	861,690

10. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2023 წელი	2022 წელი
გაყიდული/შეძენილი საქონელი	1,376,555	195,496
ჯამი	1,376,555	195,496

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023 წელი	2022 წელი
შრომის ანაზღაურება	3,312,587	988,093
ცვტა და ამორტიზაციის ხარჯი	2,990,118	3,084,502
სხვა საერთო ხარჯი	1,588,030	503,138
ქონების გადასახადის ხარჯი	497,620	516,607
საკონსულტაციო ხარჯები	197,038	99,346
ბანკის საკომისიო ხარჯი	118,997	13,450
სამეურნეო ხარჯი	93,851	35,705
საპენსიო ხარჯი	57,413	13,439
სარემონტო-სამშენებლო ხარჯები	32,549	29,627
კომუნიკაციის ხარჯები	28,287	8,910
შენობა-მონტაჟის ხარჯები	19,136	-
საკანცელარიო ხარჯები	11,358	3,709
დაზღვევის ხარჯი	10,548	2,680
სოციალური დანარიცხები	5,185	2,730
სპეც. ტანსაცმლის ხარჯი	1,874	30
საპროცენტო ხარჯი	1,684	-
რემონტის ხარჯი	1,318	29,089
კომუნალური ხარჯი	833	25,101
საოფისე ხარჯი	527	-
ჯამი	8,968,954	5,356,156

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ:

- სს სვეტიცა - დამფუძნებელი, 70% წილის მფლობელი;
- ელენე ნიჟარაძე - დამფუძნებელი, 30% წილის მფლობელი;
- თამაზ ტოგონიძე - დირექტორი;
- დავით ჯავახიშვილი - დამფუძნებლის მეუღლე.

კომპანიას ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურებას წლის განმავლობაში.

	2023 წელი	2022 წელი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	91,224	36,543

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ხედი“

მმართველობითი ანგარიშგება

ინდივიდუალური

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ხედი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2017 წლის 26 ოქტომბერს. იგი რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 406228149. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, №24.

კომპანიის წილის 70%-ის მფლობელი არის რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული კომპანია სს „სვეტლიცა“ (1223300006280, 3340000726), ხოლო 30%-ის მფლობელი საქართველოს მოქალაქე ელენე ნიჭარაძე (პ/ნ:01008007304).

კომპანიის გენერალური დირექტორია თამაზ ტოგონიძე (პ/ნ 01019061398). კომპანიის დირექტორს ცალკეული საკითხების მართვა მინდობილობის საფუძველზე გადაცემული აქვს სხვა პირზე.

შპს „ხედის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების გაწევას მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში.

კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2022 წლის სექტემბერში. ამ წლის რეალიზაციამ შეადგინა 861 690 ლარი.

2023 წლის რეალიზაციიდან ამონაგებმა შეადგინა 6 457 425 ლარი, საიდანაც 2 259 204 ლარი (34.99% მოდის სასტუმრო მომსახურებაზე, 3 709 324 ლარი (57.44%) მოდის სარესტორნე მომსახურებაზე, ხოლო 488 898 ლარი სხვადასხვა შემოსავლებია.

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

2024 წელს კომპანია ძირითადად ორიენტირებული იქნება გაყიდვების გაზრდაზე და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით, ზოგადი ზრდის გარდა არ არსებობს განვითარების სხვა კონკრეტული გეგმები.

კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2023 წლის განმავლობაში კომპანია არ იყო ჩართული რაიმე სახის კვლევისა და განვითარების საქმიანობაში.

კომპანიის ღირებულებები

კომპანიის ძირითადი მიზანია დროული და მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევა, რისთვისაც იყენებს მაღალკვალიფიციურ მუშა ხელს და თანამედროვე ტექნიკას.

მიზნის მისაღწევად კომპანია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- **პასუხისმგებლობა** - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორც კლიენტების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;
- **კეთილსინდისიერება** - კეთილსინდისიერად ვემსახურით თითოეულ კლიენტს;
- **პროფესიონალიზმი** - უწყვეტად ვიზრუნოთ ჩვენ პროფესიულ განვითარებაზე და კლიენტებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;
- **გუნდური სულისკვეთება** - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანია საქმიანობის მეორე წლის განმავლობაში ზარალიანია. ამასთან სერიოზულად გაიზარდა ამონაგები და ხდება ხარჯების ოპტიმიზაცია, რომლის საბოლოო მიზანია 2024 წელს დადებით შედეგზე გასვლა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

ადამიანური რესურსი კომპანიის ერთ-ერთი მთავარი კაპიტალია. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- **შესაბამისი კადრის მოძიება და აყვანა**

კადრის შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კომპანიის ღირებულებებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს კომპანიის უკლებლივ ყველა თანამშრომელი. ეს ღირებულებებია:

- პასუხისმგებლობა
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- გუნდური სულისკვეთება
- მოქნილობა

- **თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება**

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უწყვეტად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე.

კომპანიის მენეჯმენტი უწყვეტად ზრუნავს თანამშრომლებისათვის ჯანსაღი, სამართლიანი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათ მოტივაციის ამაღლებაზე.

სამოტივაციო სისტემა ასევე მოიცავს შემუშავებულ საბონუსე სისტემას;

რისკების მართვა

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი.

კომპანიის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სასტუმროს ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი.

საოპერაციო რისკები

სასტუმროს ძირითად საოპერაციო რისკებად შეიძლება განვიხილოთ სტუმრებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მობინადრეთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მობინადრეთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სასტუმროში შეღწევის შეზღუდვა, ვიდეო კონტროლი, ასევე მობინადრეთა კვებასა და სასმელ წყალზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

რისკის მართვა

ზემოაღნიშნულის მისაღწევად სასტუმროს გააჩნია 24 საათიანი ცოცხალი დაცვა. დაცვის ყველა თანამშრომელი სისტემატურად გადის ტრენინგებს, როგორც პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებში, ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესების დასაცავად. სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით და ტექნიკით.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშეც. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის

მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში.

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს წარმოქმნილ ყველა რისკს და მართავს და განავითარებს მას შესაბამისი მართვის პოლიტიკის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ფორმებში ვნახულობთ, რომ კომპანიის ფინანსური შედეგი წინა წელთან შედარებით უმჯობესდება, ეს არის ერთ-ერთი ფაქტი იმისა, რომ კომპანია არ კარგავს ფუნქციონარობის პრინციპს და დაუბრკოლებლად აგრძელებს საქმიანობას.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

შპს „ხედი“-ს დირექტორი

თამაზ ტოგონიძე

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში.


სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს წარმოქმნილ ყველა რისკს და მართავს და განავითარებს მას შესაბამისი მართვის პოლიტიკის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ფორმებში ვნახულობთ, რომ კომპანიის ფინანსური შედეგი წინა წელთან შედარებით უმჯობესდება, ეს არის ერთ-ერთი ფაქტი იმისა, რომ კომპანია არ კარგავს ფუნქციონარობის პრინციპს და დაუბრკოლებლად აგრძელებს საქმიანობას.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

შპს „ხედი“-ს დირექტორი



თამაზ ტოგონიძე